ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სამახსოვრო საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები
და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -
საკრებულოს შუალედური არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

არჩევნებში 2024

- ამომრჩეველს განუმარტეთ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესი:

„საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, აპარატში მოათავსეთ იმგვარად, რომ ბიულეტენის მხარე, რომელზეც განთავსებულია საცდელი წრე, მოექცეს ქვემოთ. ჩარჩო-კონვერტი დაიკავეთ მსუბუქად, რათა აპარატმა მარტივად მიიღოს საარჩევნო ბიულეტენი. დაელოდეთ, ვიდრე აპარატის ეკრანზე არ გამოჩნდება შეტყობინება „თქვენი ხმა მიღებულია“ და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა“.

ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსება

თქვენი ხმა მიღებულია.
მადლობა ხმის მიცემისთვის.

საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების დამადასტურებელი შეტყობინება

გახსოვდეთ აღნიშნული წესის დაცვა განაპირობებს არჩევანის ფარულობას იმ შემთხვევაშიც, თუ აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს.

- თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას, დაეხმარეთ მას.

გახსოვდეთ!

თუ ამომრჩეველს აქვს განსხვავებული სახის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ მოსთხოვოთ მას, გიჩვენოთ საარჩევნო ბიულეტენის მეორე სვეტი, ისე რომ არ დაირღვეს პირველი სვეტის ფარულობა.

თუ მეორე სვეტში ამომრჩევლის მიერ გაკეთებულია გაფერადება/მონიშვნა, ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება გაფუჭებულად. ასეთ შემთხვევაში მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს, მისი დავალებით რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახლით.

გახსოვდეთ!
თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი არ მიიღებს და უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია აპარატში მისი ხელმეორედ მოთავსება. საარჩევნო ბიულეტენის კვლავ დაბრუნების შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება გაფუჭებულად. ასეთ შემთხვევაში მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს, მისი დავალებით რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახლით.

- მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი აღმოჩნდება ძირითად საარჩევნო ყუთში, მიუთითეთ ამომრჩეველს სპეციალური ჩარჩო-კონვერტი განათავსოს საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე და დატოვოს საარჩევნო უბანი.

გახსოვდეთ!
ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, ამომრჩეველს განუმარტეთ ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესი:
„საარჩევნო ბიულეტენი ფარულობის პრინციპის დაცვით, გადაკეცილ მდგომარეობაში, მოათავსეთ ძირითად საარჩევნო ყუთში“.

- უზრუნველყავით უკვე გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების გადაცემა ამომრჩეველთა რეგისტრატორებისათვის.